ხელშეკრულება № 07

ქ. თბილისი 14 ივნისი 2013 წელი

ერთის მხრივ **შ.პ.ს "ჯორჯიან ექსპრესი"** საერთაშორისო საკურიერო სამსახური **"DHL"**-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, შემდეგში წოდებული როგორც **"DHL" მისი დირექტორის მალხაზ პაპელაშვილის** სახით, და მეორეს მხრივ **შპს** [illegible] მისი დირექტორის [illegible] სახით შემდგომში "შემკვეთი" შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. დოკუმენტაციის, მცირე და საშუალო ტვირთების ჩაბარება მითითებულ მისამართზე საქართველოს ტერიტორიაზე. ტვირთების ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი საგანი ან ნივთი, რომელიც შეფასებულია და გააჩნია ღირებულება. "DHL"-ის მიერ გასაგზავნად მიიღება ნებისმიერი საგანი ან ნივთი, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. (CPV - 64100000)

2. გზავნილების მიღება

2.1. გზავნილების მიღება ხორციელდება:
"DHL"-ის კურიერის უფასო გამოძახებით "შემკვეთის" ოფისში ტელეფონის საშუალებით (ტ.: 0431 244408), წინასწარ შეთანხმებულ პირთან და შეთანხმებულ მისამართზე. კურიერის გამოძახება გზავნილების ასაღებად უნდა მოხდეს დღის განმავლობაში არაუგვიანეს 16:30 საათისა, ხოლო შეტყობინება გამოძახებაზე კეთდება მინიმუმ 1 საათით ადრე.

2.2 „ გზავნილების მიღების დღეები:
ა) გზავნილების მიღება სამუშაო დღეებში დილის 10.00.-დან 18.00.-მდე.
ბ) შაბათს გზავნილების მიღება 10.00.-დან 13.00.მდე.

3. დამატებითი მომსახურება

"DHL"-ის მხრიდან დამატებით უფასო მომსახურეობაში შედის:
ა) კურიერის გამოძახება "შემკვეთის" ოფისში ან მის მიერ მითითებულ ადგილას.
ბ) "DHL"-ის სტანდარტით გათვალისწინებული შესაფუთი საშუალებებით უზრუნველყოფა.
გ) ინფორმაციის მიწოდება გზავნილების შესახებ მისი გადაადგილების მთელ მარშრუტზე.

4. მხარეთა ვალდებულებები:

4.1.„შემკვეთი" პასუხს აგებს ყველა იმ ხარჯისა და ზიანისათვის, რომლებიც დადგა იმის გამო,რომ არასწორად ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი:

ა) მიმღების ზუსტი დასახელება და ზუსტი მისამართი;
ბ) ტვირთის სახეობის ჩვეულებრივი სახელწოდება და შეფუთვის სახე,საფრთხეშემცველი ტვირთის დროს, მათი საყოველთაოდ აღიარებული აღნიშვნა;
გ) გადასაზიდი ტვირთის რაოდენობა, ნიშნები და ნომრები.
დ) ტვირთის ღირებულება და მიწოდებისადმი განსაკუთრებული ინტერესის აღნიშვნა.